

# დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგება და  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა  
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
წლისათვის

# დასურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

## სარჩევი

---

### გვერდი

ხელმძღვანელობის კანსისმბეგლობის ანგარიში 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოებენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებასა	1
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	2-3
ფინანსური ანგარიშგება 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:	
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიში	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	7-8
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები	9-57

## დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველოს („ბანკი“) ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკების ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებული, საიმედო, შესაღარი და გასაგები ინფორმაციას არსებობას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების და სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე; და
- ბანკის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ბანკში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ბანკის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ბანკის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ბანკის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2014 წლის 11 მარტს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

---

გენერალური დირექტორი  
ნიკოლოზ გუგუჩაძე

2014 წლის 11 მარტი  
თბილისი, საქართველო

---

მთავარი ბუღალტერი  
გულნარა მარშანიშვილი

2014 წლის 11 მარტი  
თბილისი, საქართველო

## **დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა**

დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველოს აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

### **დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ**

ჩვენ ჩავატარეთ დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველოს („ბანკი“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ბანკის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, და შიდა კონტროლის სისტემის უზრუნველყოფაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ მიიჩნევა აუცილებლად ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა**

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოეთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. ამ რისკების შეფასებისას არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ბანკის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული დაშვებების შესაფერისობისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

## დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2014 წლის 11 მარტი  
თბილისი, საქართველო

**დასრულებული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო**

მომზდა-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანბარიში  
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი	5, 24	9,199	5,762
საპროცენტო ხარჯი	5, 24	(3,256)	(2,282)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე გაუფასურების რეზერვის ხარჯის აღდგენა/ხარჯამდე		5,943	3,480
საპროცენტო შემოსავლების მქონე აქტივების გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯის აღდგენა/ ხარჯი	6	86	(370)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		6,029	3,110
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	7	332	270
საკომისიო შემოსავლები	8	238	198
საკომისიო ხარჯები	8	(144)	(122)
რეზერვის ხარჯის აღდგენა/ხარჯი სხვა ოპერაციებზე	21	12	(7)
სხვა შემოსავლები		2	624
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი		440	963
საოპერაციო შემოსავალი		6,469	4,073
საოპერაციო ხარჯები	9, 24	(4,765)	(4,297)
მომზდა/(ზარალი) მომზდის გადასახადამდე		1,704	(224)
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	10	(242)	14
პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)		1,462	(210)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ პერიოდის სრული შემოსავალი/(ზარალი)		1,462	(210)

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი  
ნიკოლოზ გვგუჩაძე

2014 წლის 11 მარტი  
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი  
გულნარა მარშანიშვილი

2014 წლის 11 მარტი  
თბილისი, საქართველო

9-57 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო**

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიში**  
**2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**  
*(ათასობით ლარში)*

	შენიშვნა	დეკემბერი 31, 2013	დეკემბერი 31, 2012
<b>აქტივები:</b>			
ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	11	5,227	3,403
მოთხოვნები ბანკების მიმართ	12,24	21,868	6,454
კლიენტებზე გაცემული სესხები	13,24	81,532	44,966
კასაში არსებული ინვესტიციები	14	54	54
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	15	6,352	6,379
ძირითადი საშუალებები	16	7,923	7,869
გადაუღებელი საგადასახადო აქტივები	10	568	810
არამატერიალური აქტივები	17	1,185	1,274
სხვა აქტივები	18	143	77
<b>სულ აქტივები</b>		<b>124,852</b>	<b>71,286</b>
<b>ვალდებულებები:</b>			
საბანკო დეპოზიტები	19,24	68,582	38,818
კლიენტების დეპოზიტები	20,24	13,747	8,325
სხვა ვალდებულებები	21	376	458
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>82,705</b>	<b>47,601</b>
<b>კაპიტალი:</b>			
სააქციო კაპიტალი	22	48,000	31,000
დაგროვილი ზარალი		(5,853)	(7,315)
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>42,147</b>	<b>23,685</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>124,852</b>	<b>71,286</b>

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი  
 ნიკოლოზ გეგუჩაძე

2014 წლის 11 მარტი  
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი  
 გულნარა მარშანიშვილი

2014 წლის 11 მარტი  
 თბილისი, საქართველო

9-57 გვერდებზე თანდართულია შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში  
 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 (ათასობით ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
იანვარი 1, 2012		31,000	(7,105)	23,895
სულ წლის სრული ზარალი		-	(210)	(210)
დეკემბერი 31, 2012		<u>31,000</u>	<u>(7,315)</u>	<u>23,685</u>
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება სულ წლის სრული შემოსავალი	22	17,000 -	- 1,462	17,000 1,462
დეკემბერი 31, 2013		<u>48,000</u>	<u>(5,853)</u>	<u>42,147</u>

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი  
 ნიკოლოზ გვგუჩაძე

2014 წლის 11 მარტი  
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი  
 გულნარა მარშანიშვილი

2014 წლის 11 მარტი  
 თბილისი, საქართველო

9-57 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



**დახშურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო**

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში**  
**2013 წლის 31 დეკემბრით დახურულწლიური წლისათვის**  
*(ათასობით ლარში)*

	შენიშვნა	2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ- ლი წლისათვის	2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ- ლი წლისათვის
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:</b>			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		1,704	(224)
უნაღლო ერთეულების კორექტირება:			
გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯის აღდგენა/ხარჯი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე	6	(86)	370
რეზერვის ხარჯი სხვა ოპერაციებზე	21	23	30
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული მოგება/(ზარალი)		19	(270)
ცვეთა და ამორტიზაცია	9	448	459
ცვლილება საპროცენტო დარიცხვაში, წმინდა ძირითადი საშუალებების რეზერვის აღდგენა		113	741
ფულადი სახსრების შემოღინება საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		2,221	510
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში:			
მინიმალური სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში		(832)	(36)
მოთხოვნები ბანკების მიმართ		4,936	3,321
კლიენტებზე გაცემული სესხები		(35,069)	(26,743)
სხვა აქტივები		(65)	145
ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:			
კლიენტების დეპოზიტები		5,009	113
საბანკო დეპოზიტები		28,547	22,108
სხვა ვალდებულებები		(105)	143
<b>ფულადი სახსრების წმინდა შემოღინება/(გაღინება) საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>4,642</b>	<b>(439)</b>
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:</b>			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(392)	(1,069)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები		-	18
არამატერიალური აქტივების შეძენა		(23)	(104)
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებიდან მიღებული თანხები		-	3,501
<b>ფულადი სახსრების წმინდა გაღინება /შემოღინება საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		<b>(415)</b>	<b>2,346</b>

**დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო**

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანბარიში (ბაბრქილევა)**  
**2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**  
*(ათასობით ლარში)*

	შენიშვნა	2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან:			
ხვეულებრივი აქციების გამოშვება	22	17,000	-
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან		17,000	-
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულის ნაშთზე		76	265
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		21,303	2,172
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისი	11	3,684	1,512
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს	11	24,987	3,684

2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ბანკის მიერ მიღებული და გადახდილი პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 1,462 ათასი და 5,683 ათასი ლარი.

2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ბანკის მიერ მიღებული და გადახდილი პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 2,824 ათასი და 8,874 ათასი ლარი.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი  
ნიკოლოზ გეგუჩაძე

2014 წლის 11 მარტი  
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი  
გულნარა მარშანიშვილი

2014 წლის 11 მარტი  
თბილისი, საქართველო

9-57 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ლარში)

## 1. ორგანიზაცია

ხალიკ ბანკი საქართველო („ბანკი“) არის დახურული სააქციო საზოგადოება, რომელიც საქართველოში რეგისტრირებულია 2008 წლის 29 იანვარს. ბანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი („სეზ“). ბანკი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს საბანკო საქმიანობის №0110246 გენერალური ლიცენზიის საფუძველზე. ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული საქმიანობა, ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით, უცხოური ვალუტით ვაჭრობა, სესხების და გარანტიების გაცემა და დეპოზიტების მოზიდვა.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, კოსტავას ქუჩა №74.

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს შესაბამისად გააჩნდა ოთხი და სამი ფილიალი საქართველოში.

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციონერს წარმოადგენდა.

	დეკემბერი 31, 2013	დეკემბერი 31, 2012
პირველი დონის აქციონერი: სს ვაზახეთის ხალიკ ბანკი	100%	100%
სულ	100%	100%

სს ვაზახეთის ხალიკ ბანკის საბოლოო მფლობელებს წარმოადგენენ ტიმურ კულიბაიევი და დინარა კულიბაიევა.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულ იქნა გამოსაშვებად 2014 წლის 11 მარტს ღირექტორთა საბჭოს მიერ.

## 2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები

### შესაბამისობის ანგარიში

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასის“) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასის“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ახლო მომავალში გააგრძელებს მუშაობას.

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და სერვისის სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

ბანკი, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოში მის ბუღალტრულ საქმიანობას, ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

## დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (ბაბრქველი)

2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში)

ბანკი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს ფართოდ წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) აღდგენის ან ანგარიშსწორების ანალიზი წარმოდგენილია 27-ე შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების გამოთვლისას, ბანკი ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას, გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში გაზომვისა ან/და განმარტების მიზნით, სამართლიანი ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ სამართლიანი ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად სამართლიანი ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ბანკი რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებენ საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

ბანკი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) აღდგენის ან ანგარიშსწორების ანალიზი.

### ფუნქციონალური ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი ელემენტები გაზომილია იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც ბანკი ახორციელებს თავის საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). ფუნქციონალური ვალუტა ბანკის აქციონერებისათვის არის ქართული ლარი. ბანკის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ყველა ღირებულება დამრგვალებულია ათასობით ლარში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სხვა რაიმე არ არის მითითებული.

### გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება წმინდა თანხით იმ შემთხვევაში, თუ ბანკს გააჩნია იურიდიულად აღსრულებადი უფლება, გაქვითოს აღიარებული თანხები და განზრახული აქვს, აქტივი ჩათვალოს წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება.

## დახურული საპარტიო საზოგადოება ხალხი ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შინაგანი (ბაზრული) 2013 წლის 31 დეკემბრით დახურული წლისათვის  
(ათასობით ლარში)

შემოსავალი და ხარჯი არ იქვეთება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში, თუ ეს არ არის საკლდედებულო ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და ინდივიდუალურად განმარტებული ბანკის საბუღალტრო პოლიტიკაში.

ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ:

### საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ფინანსური აქტივებისგან მიღებული საპროცენტო სარგებლის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა, რომ ბანკი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შემოსავლის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით. საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომლის საშუალებით გამოითვლება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულება და საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინების (იმ გადახდილი ან მიღებული მოსაკრებლების ჩათვლით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯებისა და სხვა პრემიუმისა თუ დისკონტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, (ან კონტექსტის მიხედვით), უფრო მოკლე ვადაში, თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული დანაკარგების გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

### საკომისიო შემოსავლების აღიარება

როდესაც სავარაუდოა, რომ სასესხო ვალდებულება გამოიწვევს კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმებას, სასესხო ვალდებულების საკომისიო გადავადდება შესაბამის პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღირიცხება, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. თუ სავარაუდო არ არის, რომ სასესხო ვალდებულება გამოიწვევს კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმებას, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში სასესხო ვალდებულების მოქმედების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც სასესხო ვალდებულების მოქმედების ვადა იწურება სასესხო ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში ვადის ამოწურვის დღეს. ყველა სხვა საკომისიოს აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

### ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, თავისუფალ სახსრებს საკორესპონდენტო და ვადიან სადეპოზიტო ანგარიშებზე საქართველოს ეროვნულ ბანკში 90 ან ნაკლებდღიანი თავდაპირველი ვადით და საკრედიტო ინსტიტუტებზე გაცემულ ავანსებს 90 ან ნაკლებდღიანი თავდაპირველი ვადით, რომელიც არ არის დატვირთული საკონტრაქტო ვალდებულებებით.

# დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაბრქაქაქა)  
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულბული წლისათვის  
(ათახობით ლარში)

## მინიმალური სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკთან

მინიმალური სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებულ სავალდებულო რეზერვს, რომლის თანხას ამტკიცებს საქართველოს ეროვნული ბანკი, ხოლო ხელმისაწვდომობაზე გარკვეული შეზღუდვები ვრცელდება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი მინიმალური სავალდებულო რეზერვი ფულის ექვივალენტებში არ ითვლება.

## ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება მაშინ, როდესაც ბანკი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეგულარული ხასიათის ყიდვა-გაყიდვა აღიარდება ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებას (მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) თავდაპირველი აღიარებისას ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას.

## ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: "დაფარვის ვადამდე ფლობილი აქტივები", "გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები" და "სესხები და მოთხოვნები". კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სპეციფიკასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

## დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები წარმოადგენს ისეთ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს განსაზღვრადი ან ფიქსირებული გადახდებითა და დაფარვის ფიქსირებული ვადებით, რომელთა ფლობა ვადამდე ბანკს განზრახული აქვს და შეუძლია ვადის ბოლომდე. ასეთი ფასიანი ქაღალდების ასახვა ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ჩეთოდზე დაფუძნებული ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკი იძულებული იქნება, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები (გამონაკლისი სპეციფიკური გარემოებების გარდა) დაფარვის ვადამდე გაყიდოს ან მოახდინოს მათი რეკლასიფიკაცია, ამას მთელ კატეგორიაზე ექნება გავლენა და საჭირო გახდება მათი გასაყიდად არსებულად რეკლასიფიკაცია. გარდა ამისა, შემდეგი ორი ფინანსური წლის განმავლობაში ბანკს აეკრძალება ნებისმიერი ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია დაფარვის ვადამდე ფლობილი აქტივის სახით.

## გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ აქტივებს, რომლებიც ან გასაყიდად არის გამიზნული, ან არ კლასიფიცირდება როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები, (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი აქტივები.

ბანკს გააჩნია ინვესტიციები ისეთ აქციებში, რომლებიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე, თუმცა, ეს ინვესტიციები კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები და წარმოდგენილია თვითღირებულებით გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით თითოეული საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის, ვინაიდან

## დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (ბაზრქმეობა)

2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში)

ხელმძღვანელობას მიანიხია, რომ მათი სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ვერ ხერხდება.

### სესხები და მოთხოვნები

სესხები და სხვა მოთხოვნები განსაზღვრადი ან ფიქსირებული გადახდებით, რომლებიც არ კოტირდება მოქმედ ბაზარზე, კლასიფიცირდება როგორც „სესხები და მოთხოვნები“. სესხები და მოთხოვნები გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებას ექვემდებარება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გარდა იმ მოკლევადიანი მოთხოვნების პროცენტისა, რომელზე დარიცხული პროცენტის აღიარება არსებითი სიდიდისა არ იქნებოდა.

### ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურების საფუძვლის შეფასება ხდება ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოსათვის. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაზე.

გასაყიდად არსებული ინვესტიციების გაუფასურების ობიექტურ მაჩვენებლად ითვლება ფასიანი ქაღალდის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება თვითღირებულებასთან შედარებით

ყველა სხვა ფინანსური აქტივის შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს:

- გამოჩვევების ან კონტრაგენტის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს; ან
- ხელშეკრულების დარღვევას, რაც გულისხმობს პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდისუუნარობას ან თავის არიდებას; ან
- პროცენტის ან ძირითადი თანხის გადაუხდელობას ან გადახდისუუნარობას; ან
- მსესხებლის გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის დაწყების შესაძლებლობას; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფინანსური აქტივის მოქმედი ბაზრის გაუქმებას.

ფინანსური აქტივების გარკვეული კატეგორიის შემთხვევაში, მაგალითად, როგორცაა სესხები და მოთხოვნები, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ არ არის გაუფასურებული, დაჩატებით ფასდება ჯგუფურად. სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური საფუძველი მოიცავს ბანკის წარსულ გამოცდილებას გადახდებთან მიმართებაში, პორტფელში ვადაგადაცილებული გადახდების რაოდენობის ზრდასა და ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების თვალსაჩინო ცვლილებებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მოთხოვნების ამოღების შეუძლებლობასთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ხარჯი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებული, სამომავლო ფულადი შემოდინებების მიმდინარე ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება გაუქმებას შემდგომ პერიოდებში.

## დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (ბაზრქმევა)  
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ლარში)

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით. აღნიშნული არ ეხება სესხებსა და მოთხოვნებს, რომელთა შემთხვევაში საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სესხის ან მოთხოვნის ამოღების შესაძლებლობა ამოიწურება, იგი ჩამოიწურება რეზერვების ანგარიშის გამოყენებით. თავდაპირველად ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა აღირიცხება რეზერვის ანგარიშში. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილება აისახება მოგება-ზარალში.

### სესხები, კონტრაქტის შეცვლილი პირობებით

სადაც ეს შესაძლებელია, ბანკი ცდილობს, უზრუნველყოფის დასაკუთრების ნაცვლად, მოახდინოს სესხის რესტრუქტურირაცია. ეს შეიძლება მოიცავდეს გადახდის გრაფიკის გაზრდასა და სესხის ახალ პირობებზე შეთანხმებას. პირობების შეცვლის შემდეგ ნებისმიერი გაუფასურება უახდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო გადაკვეთის გამოყენებით, როგორც გამოითვლება პირობების მოდიფიკაციამდე და სესხი აღარ ითვლება გადაგადაცილებულად.

ხელმძღვანელობა მუდმივად განიხილავს სესხებს, რომელთა პირობები შეიცვალა, რათა უზრუნველყოს კრიტერიუმებთან შესაბამისობა და მომავალში გადახდების დაწყება.

სესხები კვლავ ექვემდებარება ინდივიდუალურ ან ჯგუფურ შეფასებას გაუფასურების თვალსაზრისით, რაც გამოითვლება სესხის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით.

### სესხების ჩამოწერა

სესხებისა და ავანსების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვის გამოყენებით. სესხები და ავანსები ექვემდებარება ჩამოწერას იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობამ ამოწურა ბანკების მიმართ მოთხოვნების ამოღების ყველა შესაძლებლობა. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა ხდება ფინანსური აქტივების გაუფასურების გაქვითვით და აისახება აღდგენის პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

### ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ბანკის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურა, ან თუ ბანკმა სხვა საწარმოს გადასცა ფინანსური აქტივები და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და შემოსავლები. თუ ბანკი არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივისა და მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

მთლიანად ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებას და, მეორე მხრივ, მიღებული და მისაღები ანაზღაურების და სხვა სრულ შემოსავლებში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მთლიანი მოგება-ზარალის ჯამს შორის აღირიცხება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, გარდა მთლიანი შეწყვეტისა (მაგალითად, როდესაც ბანკი ინარჩუნებს უფლებას, გამოისყიდოს გადაცემული აქტივის ნაწილი), ბანკი ფინანსური აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას ანაწილებს გადაცემისას შენარჩუნებული ნაწილისა და აღიარებაშეწყვეტილი ნაწილის სამართლიან ღირებულებებს შორის გადაცემის დღის მდგომარეობით. სხვაობა, ერთი მხრივ, აღიარებაშეწყვეტილ ნაწილზე მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებას და, მეორე მხრივ, ამავე ნაწილში



## დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (ბაზრქმეობა)  
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ლარში)

---

მიღებული ანაზღაურებისა და მასზე მიკუთვნილებული და სხვა სრულ შემოსავლებში აღიარებული მთლიანი მოგება-ზარალის ჯამი აღირიცხება მოგება-ზარალის უწყისში. მთლიანი მოგება-ზარალი, რომელიც მანამდე აღიარებულია სხვა სრულ შემოსავლებში, ნაწილდება აღიარება გაგრძელებულ და აღიარება შეწყვეტილ ნაწილებზე ამ ნაწილების სამართლიანი ღირებულებების პროპორციულად.

### ფინანსური ვალდებულებები და გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები

#### კლასიფიკაცია სესხის ან კაპიტალის სახით

ბანკის მიერ გამოშვებული სესხისა და კაპიტალის ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან კაპიტალი საკონტრაქტო შეთანხმებების არსისა და ფინანსური ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის განსაზღვრებებიდან გამომდინარე.

#### კაპიტალის ინსტრუმენტები

კაპიტალის ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ბანკის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ბანკის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

#### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ჯგუფდება ბანკებისა და კლიენტების დეპოზიტებად და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად.

ბანკებისა და კლიენტების დეპოზიტებად და "სხვა ფინანსურ ვალდებულებებად" დაჯგუფებული ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. სხვა ფინანსური ვალდებულებების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ხოლო საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური უკუგების საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც გამოიყენება ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოსათვლელად და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო ხარჯის გასანაწილებლად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას "უსუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, (ან სადაც მართებულია) უფრო მოკლე ვადაში.

#### ფინანსური გარანტიის კონტრაქტები

ფინანსური გარანტიის კონტრაქტი არის კონტრაქტი, რომლის მიხედვით გამცემი ვალდებულია, განახორციელოს წინასწარ დადგენილი გადახდები მისი მფლობელისათვის გაწეული ზარალის ანაზღაურების მიზნით, თუ დადგენილი მოვალე არ ფარავს გადახდის ვალდებულებას ვადის დადგომის შემთხვევაში სავალსე ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტები თავდაპირველ აღიარებას ექვემდებარება სამართლიანი ღირებულებით, და შესაბამისად, ფასდება მეტი თანხით შემდეგ თანხებს შორის:

- კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულების თანხა - ბასს 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“-ს შესაბამისად; და

## დასურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (ბაბრძილა)  
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ლარში)

- თავდაპირველად აღიარებული ღირებულება, სადაც ეს მართებულია, შემოსავლის აღიარების პოლიტიკის შესაბამისად აღიარებული დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

### ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება მეორით იმავე მსხვებლისგან, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად. ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის, აისახება მოგება-ზარალში.

### ბანკი, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარაში გადახდილი თანხების აღიარება ხდება იჯარის პერიოდზე თანაბრად გადანაწილებული ხარჯის სახით წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უფრო წარმომადგენლობითია საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების გრაფიკის თვალსაზრისით. საიჯარო შეთანხმების საფუძველზე გადახდილი პირობითი საიჯარო თანხების ასახვა ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდისთვის, როდესაც მოხდა მათი გადახდა.

იმ შემთხვევაში, თუ იჯარის გარიგების დასადავად გათვალისწინებულია შეღავათები, იგი აისახება როგორც ვალდებულება. შეღავათებით მისაღები მთლიანი სარგებელი აღირიცხება როგორც იჯარის ხარჯის შემცირება წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სისტემატიზაციის სხვა მეთოდი უფრო წარმომადგენლობითია საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების გრაფიკის თვალსაზრისით.

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი ღირებულება ფასდება მისი შესყიდვის ფაქტიური ხარჯების საფუძველზე, რაც მოიცავს შესყიდვის აუნაზღაურებელ გადასახადებს და საშუალების სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისა და გამოყენების ადგილზე მიტანის სხვა პირდაპირ ხარჯებს. საწყისი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ის უძრავი ქონება, რომლის მშენებლობა ამჟამად მიმდინარეობს ადმინისტრაციული მიზნით, აღირიცხება თვითღირებულებით, აღიარებული გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. მისი დასრულებისა და მოხმარებისათვის მზადყოფნის შემდეგ, ასეთი ქონება კლასიფიცირდება ძირითადი საშუალებების შესაბამის კატეგორიებში. ამ აქტივების ცვეთა, იმავე საფუძველზე, როგორც სხვა უძრავი აქტივების შემთხვევაში, იწევა ამ აქტივების მოხმარებისთვის მზადყოფნის დღიდან.

ცვეთა აღიარებულია ისე, რომ წრფივი მეთოდით ჩამოიწეროს ღირებულება (გარდა მიწისა და მიმდინარე მშენებლობებისა) აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდის მანძილზე ნარჩენი ღირებულებების გამოკლებით. საპროგნოზო სასარგებლო მოხმარების პერიოდი, ნარჩენი ღირებულება და ცვეთის მეთოდი განიხილება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, იმ ცვლილებათა აღმოსაჩენად, რომელიც პროსპექტიულად გამოთვლილმა სავარაუდო ღირებულებამ განიცადა. ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური განაკვეთებით:

# დახშორული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

შინაანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (ბაზრქმელება)  
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ლარში)

შენიშნები და სხვა უძრავი ქონება	1%-2%
ავეჯი და მოწყობილობები	10%-15%
კომპიუტერები და საკომუნიკაციო მოწყობილობა	10%-33.33%
სატრანსპორტო საშუალებები	20%-33.33%
იჯარით აღებული ქონების გარემონტება	25%-50%
სხვა	15%

მიწა არ ექვემდებარება ცვეთას.

ძირითადი საშუალებები ჩამოიწერება გაყიდვისას ან როდესაც არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის უწყვეტი გამოყენებით. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი საშუალებების გაყიდვისას ან მისი სასარგებლო მოხმარების ვადის დასრულებისას, გამოითვლება როგორც სხვაობა რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგება-ზარალში.

## არამატერიალური აქტივები

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი საპროგნოზო ექსპლუატაციის ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს პროსპექტიულად აღრიცხული საპროგნოზო მანქენებლების ცვლილების აღმოჩენის მიზნით.

არამატერიალური აქტივები 6.67% - 50%

## არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა

არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება რეალიზაციისას ან იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. არამატერიალური აქტივის ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, და აღიარებულია მოგება-ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

## არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ბანკი განიხილავს მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მანქენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მანქენებლის არსებობის შემთხვევაში, აქტივის აღდგენითი ღირებულება ფასდება გაუფასურების ხარჯის განსაზღვრისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა, ბანკი განსაზღვრავს იმ ფულის გენერირების ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულის გენერირების ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის გამოვლენა შესაძლებელია.

აღდგენითი ღირებულება არის უმეტესი, ერთი მხრივ, სამართლიან ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას, და, მეორე მხრივ, გამოყენებულ ღირებულებას შორის. გამოყენებული ღირებულების შეფასებისას ხდება სამომავლო ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებამდე გადასახადამდე დისკონტირდება არსებული საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების ბაზრისეულ შეფასებას და აქტივისათვის

**დასურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო**

**შინაანურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაბრძანება)**  
**2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**  
*(ათასობით ლარში)*

დამახასიათებელ იმ რისკებს, რომელთა საფუძველზე სამომავლო ფულადი ნაკადების კორექტირება არ მომხდარა.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება ჩცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება მოგებასა და ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით. უკანასკნელ შემთხვევაში გაუფასურების დანაკარგები აისახება, როგორც შემცირება გადაფასების შედეგად. გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემთხვევაში, აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება აღდგენადი თანხის შესწორებულ სავარაუდო მოცულობამდე ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა, წინა წლებში აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) გაუფასურების ხარჯი რომ არ აღიარებულიყო. გაუფასურების ხარჯების გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ხარჯების აღდგენა განიხილება, როგორც ზრდა გადაფასების შედეგად.

**გადასახადები**

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

**მიმდინარე გადასახადი**

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც ხაერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ბანკის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა ან არსებითად მოქმედებდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

**ვადავადებული გადასახადი**

ვადავადებული გადასახადის აღიარება ხდება იმ დროებითი სხვაობების მიხედვით, რომლებიც თავს იჩენს უინანსურ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და დასაბეგრი მოგების გამოთვლისას გამოყენებულ შესაბამის საგადასახადო ბაზისის შორის. ვადავადებული საგადასახადო ვალდებულება, ჩვეულებრივ, აღიარებას ექვემდებარება ყველა დასაბეგრი დროებითი სხვაობის შემთხვევაში. ვადავადებული საგადასახადო აქტივი, ჩვეულებრივ, აღიარებას ექვემდებარება ყველა გამოქვითვადი დროებითი სხვაობის შემთხვევაში, თუ სავარაუდოდ, იარსებებს ისეთი დასაბეგრი მოგება, რომელზეც შეიძლება აღნიშნული გამოქვითვადი დროებითი სხვაობების გამოყენება. ამგვარი ვადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი სხვაობა გამომდინარეობს სხვა აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისგან ისეთი გარიგების საფუძველზე, რომელიც არ ეხება არც დასაბეგრი მოგებას არც საბალანსო მოგებას.

ვადავადებული საგადასახადო აქტივი ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება დასაბეგრი დროებითი სხვაობისათვის, რომლებიც დაკავშირებულია კლიენტებზე გაცემულ სესხებთან, ძირითად საშუალებებთან და სხვა აქტივებთან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბანკს შეუძლია, გააკონტროლოს დროებითი სხვაობის აღმოფხვრა და სავარაუდოდ, დროებითი სხვაობის აღმოფხვრა განჭვრეტად მომავალში არ მოხდება. ასეთ ნაშთებთან დაკავშირებული გამოქვითვადი დროებითი სხვაობებიდან წარმოშობილი ვადავადებული საგადასახადო აქტივები აღრიცხება ჩხოლოდ მაშინ, თუ მომავალში სავარაუდოდ იარსებებს ისეთი საკმარისი მოცულობის დასაბეგრი მოგება, რომელზეც შესაძლებელია

# დასურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (ბაბრძელება)  
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ლარში)

დროებითი სხვაობების გამოყენება და განზრახულია მათი გაუქმება განჭკერტად მომავალში.

გადავადებული საგადასახადო აქტივები საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ აღარ არსებობს იმის საფუძველიანი მოლოდინი, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგების საკმარისი ოდენობა, რომელიც საშუალებას მისცემს პირს, აღადგინოს აქტივი მთლიანად ან ნაწილობრივ.

გადავადებული გადასახადის აქტივები და ვალდებულებები იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულებების დაფარვის ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთისა და კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც ძალაში იყო საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების შეფასება ასახავს იმ საგადასახადო შედეგებს, რომლებიც მოყვება საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბანკის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების აღდგენას ან დაფარვას.

## წლის მიმდინარე და გადავადებული გადასახადები

მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი დაკავშირებულია ისეთ ერთეულებთან, რომელთა აღიარება ხდება მოგება-ზარალში ან პირდაპირ კაპიტალში. ასეთ შემთხვევაში, მიმდინარე და გადავადებული გადასახადები ახვევ აისახება შესაბამისად მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში ან პირდაპირ კაპიტალში.

## საოპერაციო გადასახადები

საქართველოს ასევე გააჩნია სხვა გადასახადები, რომლებიც განისაზღვრება ბანკის საქმიანობიდან გამომდინარე. ეს გადასახადები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში აისახება როგორც საოპერაციო ხარჯების ნაწილი.

## რეზერვები

რეზერვები აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე (სამართლებრივი ან პირობითი) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად, ბანკს საკარაულოდ მოეთხოვება მათი დაფარვა და აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

დებურებდა აღიარებული თანხა წარმოადგენს იმ ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და უზუსტობების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ რეზერვი გამოითვლება ვალდებულების დასაფარად საჭირო ფულადი სახსრების მოძრაობიდან, მათი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ამავე ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას (სადაც არსებითია ფულის ღირებულება დროში).

იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ნაწილობრივი ან სრული ეკონომიკური სარგებელი, რომელიც საჭიროა რეზერვების ფორმირებისათვის, ამოიღება მესამე მხარიდან, მოთხოვნები აისახება აქტივებში, როდესაც გადახდა სარწმუნოა, ხოლო მოთხოვნის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

## პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, მაგრამ ხდება მათი აღწერა ფინანსურ ანგარიშგებაში, სანამ არ გაჩნდება სახსრების გადინების შესაძლებლობა. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში არ აისახება, მაგრამ წარმოადგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა ნავარაუდევო.

# დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (ბაბრქელეზა)  
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ლარიში)

## უცხოური ვალუტა

ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ბანკის ფუნქციონირებადი ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშგო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ამ თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით ექვემდებარება გადაფასებას. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში ფასდება ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით და არ ექვემდებარება გადაფასებას.

გაცვლითი კურსის სხვაობა ფულად ერთეულებზე აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიქმნა.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბანკმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	დეკემბერი 31, 2013	დეკემბერი 31, 2012
ლარი/1 აშშ დოლარი	1.7363	1.6567
ლარი /1 ევრო	2.3891	2.1825

## უზრუნველყოფა

ბანკი უზრუნველყოფას ითხოვს კლიენტების ვალდებულებებზე, საჭიროებისდამიხედვით. ჩვეულებრივ უზრუნველყოფა გულისხმობს კლიენტის აქტივების გირაუნობას და ბანკს აძლევს ამ აქტივების მოთხოვნის უფლებას, როგორც არსებულ, ასევე მომავალ ვალდებულებებზე.

## სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალში შენატანების აღიარება ხდება თვითღირებულებით. ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯები, საწარმოთა გაერთიანების გარდა, აკლდება კაპიტალს ყველა დაკავშირებული მოგების გადასახადის გამოკლების შემდეგ.

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული განხილვა და შეფასებების არასაბუნებრივი ძირითადი წყაროები

ბანკის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობა ვალდებულია, განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

### ბუღალტრული პოლიტიკების გამოყენების კრიტიკული განხილვა

შემდეგი საკითხები წარმოადგენს კრიტიკული განხილვის საგანს, იმ შეფასებების გარდა (იხილეთ ქვემოთ), რომლებიც დირექტორებმა გააკეთეს ბანკის ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენების პროცესში და რომელთაც მნიშვნელოვანი გაკლენა მოახდინეს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე.

## დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშვინები (გაბრძანება)  
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ლარში)

### *დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები*

ლირექტორებმა განიხილეს ბანკის დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები კაპიტალის შენარჩუნებისა და ლიკვიდობის მოთხოვნების კრილში და დაადასტურეს, რომ ბანკს გააჩნია განზრახვა და უნარი, ფლობდეს მათ დაფარვის ვადამდე. 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შესაბამისად შეადგენს 6,352 ათას და 6,379 ათას ლარს. ამ აქტივების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მუ-15 შენიშვნაში.

### *შეფასებების არასარწმუნოების უმთავრესი წყაროები*

ქვემოთ წარმოდგენილია მომავალთან და სხვა შეფასების არასარწმუნოების ძირითად წყაროებთან დაკავშირებული უმთავრესი დაშვებები, რომლებიც ატარებენ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

### *სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურება*

ბანკის ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებს გაუფასურების შეფასების მიზნით. გაუფასურების დანაკარგების აღიარების მიზნით ბანკი საკუთარი სესხებისა და მოთხოვნების პორტფელში ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს. ბანკის ხელმძღვანელობა სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებულ ბუღალტრულ დაშვებებს მიიჩნევს არასარწმუნოების მთავარ წყაროდ, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, იმის გამო რომ მომავალი გადაუხდელობის შეფასება და გაუფასურებულ სესხებთან და ავანსებთან დაკავშირებული დანაკარგების განსაზღვრა დაფუძნებულია იმ პერიოდისთვის არსებულ ინფორმაციაზე და (II) ბანკის მიერ განსაზღვრულ დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიწვევს ბანკის მხრიდან რეზერვების ისეთ კორექტირებას, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხის შემთხვევაში შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბანკის ხელმძღვანელობა ეყრდნობა პროფესიულ განსჯას ნებისმიერი გაუფასურების დასადგენად იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და ისტორიული გამოცდილების მონაცემები მსგავსი მსესხებლების შესახებ მწირია. ბანკი ფულადი სახსრების მოძრაობაში ცვლილებებს განსაზღვრავს წინა პერიოდის გამოცდილებასა და ხელმისაწვდომ მონაცემებზე კლიენტების წარსულ ქცევაზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებენ ჯგუფში შემავალი მსესხებლის გადახდის სტატუსის უარყოფით ცვლილებაზე და აგრეთვე ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რომლებიც უკავშირდება ჯგუფში შემავალი აქტივების ამოღების შესაძლებლობის არარსებობას. ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებებს იმ აქტივების ისტორიულ დანაკარგებზე დაყრდნობით, რომელთა საკრედიტო რისკების მახასიათებლები და გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მსგავსია სესხების მოცემული ჯგუფისათვის. ბანკი იყენებს ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას და აკორექტირებს სესხების ჯგუფის შესახებ არსებულ მონაცემებს იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც აქამდე არ ასახულა ისტორიულ მონაცემებში.

ბანკი აკეთებს როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ შეფასებებს სასესხო პორტფელის გაუფასურებაზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი ფინანსურ ანგარიშგებაში განისაზღვრა არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების საფუძველზე. ბანკისათვის ამ ეტაპზე რთულია პროგნოზი იმისა, თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი ამ პირობებში საქართველოში და რა გავლენა ექნება მომავალ პერიოდში ამ ცვლილებებს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის აღეკვადურებაზე.

## დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინანსური (ბაბრქაძე)

2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში)

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემულმა სესხებმა მთლიანად შეადგინა 81,927 ათასი და 45,381 ათასი ლარი, შესაბამისად, ხოლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვმა შესაბამისად შეადგინა 395 ათასი და 415 ათასი ლარი

### *ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდი*

როგორც ზემოთ იყო აღწერილი, ბანკის ხელმძღვანელობა განიხილავს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდს თითოეული წლიური საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენა წარმოადგენს ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანს მსგავს აქტივებთან მიმართებაში არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივის სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელი მოხმარების, სავარაუდო ტექნიკური მოძველების ტენდენციებს, ფიზიკური მოხმარების პერიოდსა და ცვეთას, აგრეთვე აქტივის ფიზიკურ საოპერაციო გარემოს. ჩამოთვლილი პირობებიდან რომელიმე ერთი პირობის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ცვეთისა და ამორტიზაციის მომავალი განაკვეთის კორექტირების აუცილებლობა.

### *გადავადებული საგადასახადო აქტივების აღდგენა*

ბანკის ხელმძღვანელობა დარწმუნებული არის, რომ საშემავლო პერიოდის განმავლობაში იმავე საგადასახადო იურისდიქციაში ბანკს ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება ისეთი მოცულობით, რაც საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად რეალიზაციისათვის. იმ შემთხვევაში, თუ 2014 წლის მოგება არ იქნება საკმარისი შემდგომ წლებში გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად რეალიზებისათვის, ხელმძღვანელობა გეგმავს, სთხოვოს საქართველოს საგადასახადო ორგანოებს, რათა მათ ბანკს მისცენ უფლება, გამოიყენოს დასაბეგრი ზარალი დამატებით ხუთიდან ათ წლამდე გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულებამ 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგინა 568 ათასი და 810 ათასი ლარი

## 4. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიღება

ცვლილებები ფასს-ში, რაც აისახა ფინანსურ ანგარიშში მოცემულ თანხებზე

ქვემოთხსენებული ცვლილებები მიღებულ იქნა მიმდინარე წელს და გავლენა იქონია მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე.

ფინანსურ ანგარიშგებაზე მოქმედი სტანდარტები

ახალი და რედაქტირებული სტანდარტები საწარმოთა გაერთიანებაზე, ერთობლივ საწარმოებზე, შეკავშირე საწარმოებსა და განმარტებაზე

2011 წლის მაისში მიღებული იქნა ხუთი სტანდარტის პაკეტი, რომელიც შეეხება საწარმოთა გაერთიანებას, ერთობლივ საწარმოებს, შეკავშირე საწარმოებსა და განმარტების მოთხოვნებს. მასში შედის ფასს 10 "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება", ფასს 11 "ერთობლივი საწარმოები", ფასს 12 "სხვა პირებში არსებული წილის განმარტება", ბასს 27 (2011 წლის რედაქციით) "დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება" და ბასს 28 (2011 წლის რედაქციით) "ინვესტიციები შეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საწარმოებში". აღნიშნული სტანდარტების გამოცემის შემდეგ მიიღეს და გამოქვეყნდა შესწორებები ფასს-ებში 10, 11 და 12. შესწორებების მიზანია გარკვეული გარდამავალი განმარტებების უზრუნველყოფა აღნიშნული სტანდარტების პირველი გამოყენებისას. სტანდარტები ფასს 10, ფასს 11, ფასს 12 და ფასს 28 (2011 წლის რედაქციით), ასევე შესწორებები სტანდარტებში ფასს 10, ფასს 11 და ფასს 12 გარდამავალი ინსტრუქციების შესახებ, აგრეთვე ბასს 27 (2011 წლის რედაქციით) ბანკზე არ ვრცელდება, რადგან იგი მხოლოდ დამოუკიდებელ ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებს.



## დასურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (ბაბრქალა)  
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ლარში)

აღნიშნული სტანდარტების მიღებას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა არ ჰქონია.

შესწორებები ფასს 7-ში *“ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტება”*. მიღებული შესწორება ზრდის განმარტების ვალდებულებას ისეთი ტრანზაქციებისათვის, რომლებიც ფინანსური აქტივების გადაცემას ეხება. განახლებული სტანდარტის მიზანია მეტი გამჭვირვალობის შექმნა ფინანსური აქტივების გადაცემის შემთხვევაში რისკის შემოქმედების საკითხში.

მიმდინარე წელს ბანკს სხვა პირისათვის არ გადაუცია ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც შედეგად ახალი შესწორებისა და, შესაბამისად, მეტი განმარტების ვალდებულების ამოქმედებას გამოიწვევდა.

შესწორება ბასს 1-ში *“ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა” (2011 წლის ივნისის რედაქცია)*. ბანკი ბასს 1-ის შესწორებას (“სხვა სრული შემოსავლების კომპონენტების წარმოდგენა”) ძალაში შესვლამდე (2012 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდები), წინასწარ იყენებს. შესწორებით სრული შემოსავლის უწყისში განმარტების სავალდებულო ხარისხი გაიზარდა.

ამ შესწორების შედეგად, საჭირო ხდება სრული შემოსავლების უწყისში პირმა ერთმანეთისგან განასხვავოს და განაცალკევოს ის კომპონენტები, რომელთა შემდგომი რეკლასიფიცირება მოგება-ზარალში არ მოხდება და ის კომპონენტები, რომლებიც შემდგომში, შესაბამისი ფასს-ის მიხედვით, მოგება-ზარალში რეკლასიფიცირებას ექვემდებარება. ბასს 1-ის შესწორების გამოყენება მოგება-ზარალზე, სრულ შემოსავლებსა და მთლიან სრულ შემოსავლებზე ზეგავლენას არ ახდენს.

ბასს 1-ში მოცემული შესწორებები გავლენას არ ახდენს ბანკის მიმდინარე წლის სრულ მოგებაზე.

ფასს 13 *“სამართლიანი ღირებულების გაზომვა”*. ბანკმა ფასს 13 პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. ფასს 13 ერთიან ინსტრუქციებს აღგენს სამართლიანი ღირებულების გაზომვისა და მისი განმარტების თაობაზე. ფასს 13-ის მოქმედების სპექტრი ფართოა; მისი მოთხოვნები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით ვრცელდება როგორც ფინანსურ ინსტრუმენტებზე, აგრეთვე არაფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც, სხვა ფასს-ების მიხედვით, სამართლიანი ღირებულების გაზომვა და განმარტება საჭირო და ნებადართულია. იგი არ ვრცელდება წილობრივი გადახდის ტრანსაქციებზე, რომელიც ფასს 2-ით, “წილობრივი გადახდა” რეგულირდება, ლიზინგის ტრანსაქციებზე, რომლებიც ბასს 17-ით “იჯარა” რეგულირდება და გაზომვის იმ შემთხვევებზე, რომლებიც სამართლიანი ღირებულების მსგავსია, მაგრამ სამართლიანი ღირებულება არ არის (მაგ. წმინდა რვალიზებადი ღირებულება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაზომვის მიზნებისათვის ან გაუფასურების შეფასებაში გამოყენებული ღირებულება).

ფასს 13 სამართლიანი ღირებულებას განსაზღვრავს, როგორც ფასს, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გადასაცემად ჩვეულებრივ ტრანსაქციაში ძირითად (ან საუკეთესო) ბაზარზე გაზომვის დღეს მიმდინარე საბაზრო პირობებში. ფასს 13-ის მიხედვით, სამართლიანი ღირებულება არის გასვლის ფასი იმის მიუხედავად, მასზე დაკვირვება პირდაპირ შეიძლება თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით დგინდება. გარდა ამისა, ფასს 13 განმარტების ვრცელ მოთხოვნებსაც მოიცავს.

ფასს 13 ის მიხედვით, 2013 წლის 1 იანვრიდან იგი პროსპექტიულად უნდა იქნას გამოყენებული. გარდა ამისა, მასში შედის კონკრეტული გარდამავალი დებულებები, რომელთა მიხედვით, განმარტება სტანდარტის პირველ გამოყენებამდე დასრულებულ პერიოდებზე წარმოდგენილ ინფორმაციაზე სავალდებულო არ არის. ფასს 13-ის ამოქმედებას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე არსებითი ზეგავლენა არ მოუხდენია.

შესწორება ბასს 1-ში “ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა” (2009-2011 წლების ფასს-ების წლიური გაუმჯობესების პროგრამის ნაწილი, გამოქვეყნდა 2012 წლის მაისში).

ფასს-ების წლიური გაუმჯობესების 2009-2011 წლების ციკლში მოცემულია ფასს-ების რამდენიმე შესწორება. მათგან ბანკზე ვრცელდება ბასს 1-ის რედაქცია იმ ნაწილში, რომელიც წინა პერიოდის დასაწყისისათვის ფინანსური მდგომარეობის უწყისისა (ფინანსური მდგომარეობის შესამე უწყისი) და შესაბამისი შენიშვნების წარმოდგენას ეხება. შესწორებების მიხედვით, ფინანსური მდგომარეობის შესამე უწყისის მომზადება საჭიროა, როდესაც (ა) პირი სააღრიცხვო პოლიტიკას რეტროსპექტიულად იყენებს, ან რეტროსპექტიულად აკეთებს ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული კომპონენტის რეკლასიფიცირებას ან შესწორებას და, (ბ) რეტროსპექტიულ გამოყენებას, შესწორებასა თუ რეკლასიფიცირებას არსებითი ზეგავლენა აქვს ფინანსური მდგომარეობის შესამე უწყისში მოცემულ ინფორმაციაზე. შესწორებების მიხედვით, შესამე უწყისში შენიშვნების ჩართვა სავალდებულო არ არის.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

ბანკი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები”  
შესწორება ფასს-ში 9 და ფასს-ში 7: “ფასს 9-ის ძალაში სავალდებულო შესვლის თარიღი და გარდამავალი განმარტებები”<sup>2</sup>
- შესწორება ფასს-ში 10, ფასს-ში 12 და ბასს-ში 27 “საინვესტიციო კომპანიები”<sup>1</sup>
- შესწორება ბასს-ში 32 “ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლა”<sup>1</sup>

<sup>1</sup> ძალაშია 2014 წლის 1 იანვარიდან ან მანამდე დაწყებული წლიური პერიოდისათვის, აღრეული გამოყენება დაშვებულია.

<sup>2</sup> ძალაშია 2015 წლის 1 იანვარიდან და მანამდე დაწყებულ წლიურ პერიოდისათვის, აღრეული გამოყენება დაშვებულია.

ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები”. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს-ში 9 შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- პირი ვალდებულია, ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი, რომელიც ბასს 39-ის “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა” თვალთახედავაში ექცევა, შემდგომში გაზომოს ამორტიზებული ან სამართლიანი ღირებულებით, კერძოდ, სავალდებულო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხვულ პროცენტს მოიცავს, შემდგომი საანგარიშო პერიოდების ბოლოს გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვა სავალდებულო ინვესტიცია და ინვესტიცია კაპიტალში შემდგომი საანგარიშო პერიოდის ბოლოს იზომება სამართლიანი ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავლებსა და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.
- მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით დაფიქსირებული ფინანსური ვალდებულებების გაზომვასთან დაკავშირებით, ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოადგინდეს იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში,

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (ბაბრქველა)  
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ლარში)

---

თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ბასს 39-ის მიხედვით, ფინანსური ვალდებულების მოგება-ზარალში დაფიქსირებული სამართლიანი ღირებულების ცვლილების მთლიანი ოდენობა მოგება-ზარალში არის ასახული.

ბანკის ხელმძღვანელობის პროგნოზით, მომავალში ფასს 9-ის გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ბანკის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ნაჩვენებ თანხებზე (მაგ. ბანკის ინვესტიციები გამოსუიდეგად ფასიან ქაღალდებში, რომლებიც ამჟამად გასაყიდად განკუთვნილ ფინანსურ აქტივებად კლასიფიცირდება, შემდგომი საანგარიშო პერიოდების ბოლოს სამართლიანი ღირებულებით უნდა გაიზომოს, ხოლო მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილება – მოგება-ზარალში აისახოს). თუმცა, დეტალური შემოწმების გარეშე ფასს 9-ის ვფექტზე ადეკვატური მსჯელობა არაგონიერული იქნებოდა.

**შესწორებები ბასს-ში 32 “ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლა”.** ბასს 32-ის შესწორება განმარტავს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. კერძოდ, შესწორება გვიხსნის, თუ რა იგულისხმება ფრაზებში “ამჟამად გააჩნია ურთიერთჩათვლის სამართლებრივად აღსრულებადი უფლება” და “ერთდროული რეალიზაცია და ანგარიშსწორება”.

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ბასს 32-ის ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ბანკს ურთიერთჩათვლელი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები არ გააჩნია.

**დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო**

შინადასრულებული ანგარიშგებასთან არსებული შინადასრულებული (გაბრკელება)  
 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 (ათასობით ლარში)

**5. შინადასრულებული შემოსავალი**

	2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი მოიცავს:		
საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე:		
-საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებიდან	2,171	1,104
-საპროცენტო შემოსავალი ფინანსურ აქტივებიდან, რომლებიც არ არის გაუფასურებული	7,028	4,658
<b>სულ საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>9,199</b>	<b>5,762</b>
საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებიდან:		
კლიენტებზე გაცემული სესხები	8,089	4,201
დაფარვის ვადაზე ფლობილი ინვესტიციები	694	1,507
ბანკების მიმართ მოთხოვნები	380	30
ნაშთები საქართველოს კრონულ ბანკში	36	24
<b>სულ საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>9,199</b>	<b>5,762</b>
საპროცენტო ხარჯი მოიცავს:		
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებზე:	(3,256)	(2,282)
<b>სულ საპროცენტო ხარჯი</b>	<b>(3,256)</b>	<b>(2,282)</b>
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებზე:		
ბანკების მიმართ ვალდებულებები	(2,679)	(1,588)
კლიენტების დეპოზიტები	(577)	(694)
<b>სულ საპროცენტო ხარჯი:</b>	<b>(3,256)</b>	<b>(2,282)</b>
<b>შინადასრულებული შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯამდე</b>	<b>5,943</b>	<b>3,480</b>

**დასრულებული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო**

შინადასრულებული ანგარიშგებასთან არსებული შინადასრულება (ბაბრქველი)  
 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 (ათასობით ლარში)

**6. ბაზრის მნიშვნელობის მნიშვნელობის რეზერვი**

გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე მოიცავს:

	კლიენტებზე გაცემული სესხები
<b>იანვარი 1, 2012</b>	<b>208</b>
აღიარებული დამატებითი რეზერვები აქტივების ჩამოწერა	370 (163)
<b>დეკემბერი 31, 2012</b>	<b>415</b>
რეზერვების აღდგენა აქტივების ჩამოწერა ჩამოწერილი აქტივების აღდგენა	(86) (4) 70
<b>დეკემბერი 31, 2013</b>	<b>395</b>

**7. წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე**

წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე მოიცავს:

	2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
სავაჭრო ოპერაციები, წმინდა საკურსო სხვაობა, წმინდა	351 (19)	294 (24)
<b>სულ წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე</b>	<b>332</b>	<b>270</b>

**8. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები**

საკომისიო შემოსავლები და ხარჯები მოიცავს:

	2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2012 წლის 32 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
<b>საკომისიო შემოსავლები:</b>		
ანგარიშსწორების საკომისიო	76	54
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	72	70
პლასტიკური ბარათებით განხორციელებული ოპერაციები	62	51
სხვა	28	23
<b>სულ საკომისიო შემოსავლები</b>	<b>238</b>	<b>198</b>

**დასურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო**

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (გაბრძანება)  
 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 (ათასობით ლარში)

<b>საკომისიო ხარჯები:</b>		
პლასტიკური ბარათებით განხორციელებული ოპერაციები	(75)	(67)
ანგარიშსწორების საკომისიო	(55)	(49)
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	(13)	(6)
სხვა	(1)	-
<b>სულ საკომისიო ხარჯები</b>	<b>(144)</b>	<b>(122)</b>

**9. საოპერაციო შემოსავლები**

საოპერაციო შემოსავლები მოიცავს:

	2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ხელფასები და პრემიები	3,222	2,737
ცვეთა და ამორტიზაცია	448	459
პროფესიული მომსახურება	143	103
საოპერაციო იჯარა	101	173
კომუნიკაციის ხარჯები	90	76
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	79	73
კომუნალური ხარჯები	49	46
სარეკლამო ხარჯები	37	63
სამიწიკების ხარჯები	36	20
დაცვის ხარჯები	29	26
წარმომადგენლობითი ხარჯები	28	46
საოფისე მარაგები	23	12
ძირითადი საშუალებების შეკეთება	16	26
დაზღვევის ხარჯები	4	5
სხვა ხარჯები	460	432
<b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>	<b>4,765</b>	<b>4,297</b>

**10. მოგების გადასახადი**

ბანკი მისი მიმდინარე მოგების გადასახადის ოდენობასა და აქტივებისა და ვალდებულებების სახით წარმოდგენილი საგადასახადო ბაზისს, ანგარიშობს და აღრიცხავს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან.

იმის გამო, რომ საგადასახადო მიზნებისათვის, გარკვეული ხარჯები არ ექვემდებარება გამოქვითვას, ხოლო გარკვეული შემოსავალი განიხილება როგორც დაუბეგრავი, ბანკს შეიძლება გაუჩნდეს გარკვეული მუდმივი საგადასახადო სხვაობები.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტებს. 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დროებითი სხვაობები ძირითადად დაკავშირებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების განსხვავებულ მეთოდებსა/დროსა და ასევე გარკვეული სახის აქტივების აღრიცხვიანობის სხვაობასთან საბუღალტრო მონაცემებზე დაყრდნობით.

მონაცემების შეჯამებისას გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კორპორატიულ საგადასახადო 15%-იან განაკვეთს, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე კორპორატიული საწარმოები იხდიან დასაბეგრ მოგებაზე.

**დასურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო**

**ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შინაშენები (ბაბრძილა)**  
**2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**  
*(ათასობით ლარში)*

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები) შეადგენს:

	<b>დეკემბერი 31, 2013</b>	<b>დეკემბერი 31, 2012</b>
სხვა ოპერაციების რეზერვები	30	278
სხვა ფინანსური ვალდებულებები	11	14
სხვა აქტივები	8	52
კლიენტებზე გაცემული სესხები	(282)	(136)
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(127)	(87)
ზარალის გადატანა მომავალ პერიოდზე	928	1,013
არ აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	(324)
<b>წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი</b>	<b>568</b>	<b>810</b>

კავშირი საგადასახადო ხარჯებსა და ბუღალტრულ მოგებას შორის, 2013 და 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, აიხსნება შემდეგნაირად:

	<b>2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის</b>	<b>2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის</b>
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე	1,704	(224)
კანონით განსაზღვრული გადასახადის განაკვეთი (15%) მუდმივი სხვაობების საგადასახადო უწყვეტი	256	(34)
	(14)	20
<b>მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი)</b>	<b>242</b>	<b>(14)</b>
მიმდინარე წელს აღიარებული გადავადებული საგადასახადო ხარჯი/(სარგებელი)	242	(14)
<b>მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი)</b>	<b>242</b>	<b>(14)</b>
	<b>2013</b>	<b>2012</b>
<b>1-ელი იანვარის მდგომარეობით - გადავადებული საგადასახადო აქტივი</b>	<b>810</b>	<b>796</b>
გადავადებული საგადასახადო აქტივის ცვლილება ასახული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში	(242)	14
<b>31 დეკემბრის მდგომარეობით - გადავადებული საგადასახადო აქტივი</b>	<b>568</b>	<b>810</b>

**დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო**

**ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაბრქელეა)**  
**2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**  
*(ათასობით ლარში)*

**11. ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში**

	<b>დეკემბერი 31, 2013</b>	<b>დეკემბერი 31, 2012</b>
ფული	2,544	1,478
ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში ("სებ")	2,683	1,925
<b>სულ ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში</b>	<b>5,227</b>	<b>3,403</b>

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ნაშთები მოიცავს მინიმალურ სავალდებულო დეპოზიტს საქართველოს ეროვნულ ბანკში ("სებ") 2,060 ათასი და 1,192 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. ბანკს მოეთხოვება მუდმივად შეინარჩუნოს მინიმალური სარეზერვო თანხა საქართველოს ეროვნულ ბანკში.

ფული და ფულის ექვივალენტები ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის მიზნებისათვის შეადგენს:

	<b>დეკემბერი 31, 2013</b>	<b>დეკემბერი 31, 2012</b>
ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	5,227	3,403
საკორესპონდენტო ანგარიშები და ვადიანი დეპოზიტები თავდაპირველი ვადით 90 დღემდე	21,820	1,473
	<u>27,047</u>	<u>4,876</u>
გამოკლებული: სავალდებულო მინიმალური დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში	(2,060)	(1,192)
<b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b>	<b>24,987</b>	<b>3,684</b>

**12. მოთხოვნები ბანკების მიმართ**

მოთხოვნები ბანკების მიმართ მოიცავს:

	<b>დეკემბერი 31, 2013</b>	<b>დეკემბერი 31, 2012</b>
ვადიანი დეპოზიტები	18,505	4,981
საკორესპონდენტო ანგარიშები	3,363	1,473
<b>სულ მოთხოვნები ბანკების მიმართ</b>	<b>21,868</b>	<b>6,454</b>

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოთხოვნები ბანკების მიმართ შეიცავს ღარიცხულ პროცენტს 5 ათასი და 2 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნდა სხვა ბანკების მიმართ მოთხოვნების ნაშთები ერთი ბანკის მიმართ, რაც აღემატება ბანკის საკუთარი კაპიტალის 32% და 23%-ს, შესაბამისად.

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო რისკისადმი მაქსიმალურმა დაქვემდებარებამ ბანკების მიმართ მოთხოვნებზე შეადგინა 21,868 ათასი და 6,454 ათასი ლარი შესაბამისად.



**დასურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო**

**ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (ბაზრქმელება)**  
**2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**  
*(ათასობით ლარში)*

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ჰქონდა გარანტიების სახით განთავსებული დეპოზიტები თავისი ოპერაციებისათვის, 17 ათასი ლარისა და 18 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

**13. კლიენტებზე გაცემული სესხები**

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	<b>დეკემბერი 31, 2013</b>	<b>დეკემბერი 31, 2012</b>
კლიენტებზე გაცემული სესხები	81,927	45,381
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(395)	(415)
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>81,532</b>	<b>44,966</b>

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

2013 და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს ღარიცხულ პროცენტს 520 ათასი და 349 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებას ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის მიხედვით:

	<b>დეკემბერი 31, 2013</b>	<b>დეკემბერი 31, 2012</b>
სესხები უზრუნველყოფილი კომბინირებული უზრუნველყოფით	57,307	27,356
სესხები უზრუნველყოფილი უძრავი ქონებით	18,392	11,725
სესხები უზრუნველყოფილი ფულადი სახსრებით	3,548	3,969
სესხები უზრუნველყოფილი გარანტიებით	978	1,140
სესხები უზრუნველყოფილი სატრანსპორტო საშუალებებით	-	10
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	1,702	1,181
	<b>81,927</b>	<b>45,381</b>
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(395)	(415)
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>81,532</b>	<b>44,966</b>

	<b>დეკემბერი 31, 2013</b>	<b>დეკემბერი 31, 2012</b>
<b>ანალიზი დარგების მიხედვით:</b>		
ვაჭრობა და მომსახურება	46,159	24,983
ფიზიკური პირები	21,087	12,162
ტრანსპორტირება	4,580	680
მშენებლობა	4,075	5,100
სხვა დარგი	6,026	2,456
	<b>81,927</b>	<b>45,381</b>
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(395)	(415)
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>81,532</b>	<b>44,966</b>

**დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო**

შინადასრულებული ანგარიშგებასთან არსებული შინადასრულებული (ბაზრული) მონაცემები (ბაზრული)  
 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 (ათასობით ლარში)

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები მოიცავს შემდეგ პროდუქტებს:

	დეკემბერი 31, 2013	დეკემბერი 31, 2012
იპოთეკური სესხები	8,698	5,703
სამომხმარებლო სესხები	12,389	6,459
	21,087	12,162
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(77)	(56)
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>21,010</b>	<b>12,106</b>

2013 და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკმა გასცა სესხები 5 მსესხებელზე მთლიანობაში 28,984 ათასი ლარისა და 10,654 ლარის ოდენობით, რომელიც ინდივიდუალურად აღემატება ბანკის კაპიტალის 5 პროცენტს.

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების დიდი წილი (მთლიანი პორტფელის 98% და 99%) გაიცა საქართველოში მოღვაწე კომპანიებზე, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან გეოგრაფიულ კონცენტრაციას ერთ რეგიონში.

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემულმა იმ სესხებმა, რომელთა პირობები გადახედულ იქნა, შეადგინა 991 ათასი და 4,485 ათასი ლარი შესაბამისად. სხვაგვარად ეს სესხები ჩაითვლებოდა ვადაგადაცილებულად, ან გაუფასურებულად.

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული მიმდინარე სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი:

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი სესხები	გაუფასურების დანაკარგის რეზერვი	წმინდა სესხები	გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ფარდობა მთლიან სესხებთან
ჯგუფურად შეფასებული ვადაგადაუცილებელი	31,738	(108)	31,630	0.34%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	1,160	(4)	1,156	0.35%
31-60 დღე	128	(1)	127	0.42%
61-90 დღე	134	-	134	-
91-180 დღე	271	(1)	270	0.37%
180 დღეზე მეტი	321	(1)	320	0.31%
<b>სულ ჯგუფურად შეფასებული</b>	<b>33,752</b>	<b>(115)</b>	<b>33,637</b>	<b>0.34%</b>

